# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 120

20 11 წ. " 21 " 10

ქ. თბილისი

შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №7 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
დავით კიკალეიშვილი

მდივანი
დიმიტრი ალავიძე